


შპს „ი ჯი ემ“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება



სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7


სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024
პერიოდისთვის

შენიშვნა	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან 3	7,366,771	12,169,488
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(6,053,495)	(10,502,416)
საერთო მოგება	1,313,276	1,667,072
დასაქმებულთა ანაზღაურება 4	(150,943)	(152,746)
ცვეთის ხარჯი	(427)	
სხვა საოპერაციო ხარჯი	(432,082)	(260,741)
საოპერაციო მოგება	729,824.00	1,253,585.00
არასაოპერაციო შემოსავალი 5	120,861	19,517
არასაოპერაციო ზარალი 6	(27,325)	(18,757)
შემოსულობა ან ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(42,566)	111,063
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	50970	111,823
მოგება დაბეგვრამდე	780,794	1,365,408
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	780,794.00	1,365,408.00
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი ან ზარალი	780,794.00	1,365,408.00
მესაკუთრეებზე დივიდენდის გადაწილება	-22414	
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	758,380.00	1,365,408.00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2024 ლარი	2023 ლარი	2022 ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტი		786,745	446,483	1,361,764
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,053,391	6,267,133	596,077
სასაქონლომატერიალური ფასეულობები		415,797	673,706	35,433
სასესხო მოთხოვნები	7	1,012,491	338,485	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	156,197	252,706	1,266,653
სულ მიმდინარე აქტივები		5,424,621	7,978,513	3,259,927
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	1,693	-	-
არამატერიალური აქტივები		93,187	90,030	90,030
სულ გრძელვადიანი აქტივები		94,880	90,030	90,030
სულ აქტივები		5,519,501	8,068,543	3,349,957
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	1,961,449	5,232,813	772,307
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,214,745	1,250,809	2,358,136
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,176,194	6,483,622	3,130,443
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		3,176,194	6,483,622	3,130,443
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუინაწილებელი მოგება		2,343,307	1,584,921	219,514
სულ საკუთარი კაპიტალი		2,343,307	1,584,921	219,514

დირექტორი გიორგი თურქაძე



სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	5,519,501.00	8,068,543.00	3,349,957.00
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 - 31.12.2024			
პერიოდისთვის			

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი		219,514	219,514
წმინდა მოგება	-		
გაუნაწილებელი მოგების კორექტირება			
მთლიანი სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი		1,365,408	1,365,408
გაცემული დივიდენდი			
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,584,922	1,584,922
პერიოდის სრული შემოსავალი		780,794	780,794
გაცემული დივიდენდი		(22,414)	(22,414)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		5	5
2024 წლის 31 დეკემბერი		2,343,307	2,343,307

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2024 -31.12.2024
პერიოდისთვის

	2024	2023
	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,004,019	(704,854)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(571,245)	(178,968)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(21,887)	
წმინდა ცვლილება ფულად ნაკადებში	410,887	-883822
სავალუტო კურსის ეფექტი	(70,625)	(31,459)
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის დასაწყისში	446,483	1,361,764
ფული და ფულის ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	786,745	446,483

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „იჯიემ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი-06.05.2021). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.რუსთავი, ფიროსმანის 21სარ2 ბინა11. მისი ძირითადი საქმიანობაა სათამაშო აპარატებით ვაჭრობა და შემდგომი პროგრამული მხარდაჭერა. მათი ძირითადი მომხმარებლები არიან კაზინოები და სლოტ კლუბები. კომპანია

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის აფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მისი საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან

მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.


ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დირექტორი გიორგი თურქაძე



რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2,024.00	2,023.00
	ლარი	ლარი
ადგილობრივი მიწოდება	889,994.00	6,712,786.00
ექსპორტი		3,782,156.00
აპარატურის შემდგომი მომსახურების მხარდაჭერა	6,476,777.00	1,674,546.00
	7,366,771.00	12,169,488.00

4. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

5. არასაოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	120,861	19,517
	120,861	19,517

6. არასაოპერაციო ზარალი

	2024	2023
	ლარი	ლარი
საპროცენტო ზარჯი	(27,325)	(18,757)
	(27,325)	(18,757)

7. სასესხო მოთხოვნები

სასესხო მოთხოვნები მოიცავს ფიზიკურ პირზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხს, რომლის ნაშთიც პერიოდის ბოლოსთვის შეადგენს 875,750 ლარს. დარიცხული პროცენტი პერიოდის ბოლოს 136,741 ლარი პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით 20 % განაკვეთით

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	2024	2023	2022
	ლარი	ლარი	ლარი
გადახდილი ავანსები	62,027	62,027	981,359
საგადასახადო აქტივი	94,170	190,678	285,294
	156,197	252,705	1,266,653

9. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა და სხვა
თვითღირებულება	
1 იანვარი 2024	-
შემოსვლა	1953
გასვლა	
31 დეკემბერი 2024	1953
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
1 იანვარი 2024	
დაგროვილი ცვეთა	
წლიური ცვეთა	260.48
გაუფასურება	
31 დეკემბერი 2024	260.48
საბალანსო ღირებულება 31.12.2024	1,693

12. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023	2022
	ლარი	ლარი	ლარი
ადგილობრივი მომწოდებლები	1,451,124	1,205,886	737,418
უცხოური მომწოდებლები	510,325.00	4,026,927	34,889.00

1,961,449

5,232,813

772,307

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო კომანიას არ გააჩნია.

11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ცვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი. საიჯარო ვადებში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

	2024	2023	2022
	ლარი	ლარი	ლარი
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომელიც მიმდინარე წელს აღიარდა ხარჯად	54,249	53,178	8,397

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2025 წლის 30 სექტემბერს